ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

გამოცემა ეცხოვრეთში მყოფ სოც.-ფედერ—ბის კომიტეტისა.

1927 წ. ივლისი. რვეული მესამე.

ასალი ძალები.

დროა დიდი გამოცოცხლებული მოქმედებისა!.. ჩვენი მოძღვრება, იდეა, გეგმა საუკეთესოა: განვლილმა წლებმა ეს განამტკიცეს, ცეცხლმა და განსაცდელმა გააძლიერა, უფრო საყვარელი შეიქნა და მიმზიდველი. მაგრამ ამ ქვეყნად სრულიად განყენებულ იდეასაც იმდენად აქვს ფასი, რამდენად მოქმედებად იქცევა და ადამიანთა არსებობას გააუმჯობესებს. იდეა მოქმედებისთვის და მოქმედება იდეისთვის—აი ანბანი ყოველი მოღვაწეობისთვის, რომელსაც მიზნად დაუსახავს საზოგადოების, ერის აწინდელი მდგომარეობის შეცვლა, პოლიტიკურ-კულტურული და ქონებრივი ამაღლება, დაძლევა მრავალ დაბრკოლების, ბრძოლა სასტიკ მტერთან.

ამ საზომით უნდა მივუდგეთ ჩვენს მდგომარეობას პარტიულს. პარტიულს, ვამბობთ ხაზგასმით, რადგან პარტიულობა, პარტიებად დარაზმვა მთელი ქართველი ხალხისა ერთის მაღალი მისწრაფებისთვის—საქართველოს თავისუფლების აღსადგენად—მიგვაჩნია მკვიდრ საშუალებად გამარჯვებისათვის ბრძოლაში. არსებობს სხვადასხვა მხედველობა და ყველა თავის წრეში შეკავშირდეს მტკიცედ და ერთსულოვნად და ასე დარაზმულები შევიქნეთ ერთი ლაშქარი მოძალადეთა წინააღმდეგ. პარტიები—ეს რაზმებია ერთის ჯარის, რომელსაც ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, რომელსაც ასულდგმულებს და აღფრთოვანებს ქართველი ერის განთავისუფლება. მაგრამ მეომარი ჯარი მით უფრო ძლიერია და ადვილად შეასრულებს თავის დანიშნულებას, რამდენად მისი შემადგენელი ნაწილები კარგად არიან დაწყობილნი, მაგრად შეკრულნი, გაწრთვნილნი, მომზადებულნი. და როცა ახლოვდება დღე ჩვენი სამშობლოს აღდგენის, დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი ენერგიის, გაათკეცებული ამოქმედების არა მარტო თავისუფლების დასაბრუნებლად, არამედ განახლებული ცხოვრების სამარადო საფუძველზე მოსაწყობად,—ყოველი ქართველი პოლიტიკური ჯგუფი ვალდებულია, დიდი სიფხიზლე და სიცხოველე გამოიჩინოს, თვალი გადაავლოს რიგებს, სუსტნი გაამრთელოს, ღონიერნი გააძლიეროს, ყველა შეაერთოს, მისცეს საქმე, მისწრაფება გაულრმავოს, რწმენა განუმტკიცოს და გაშლილად დაუყენოს წინ ის იდეა, რომლისთვის მუდამ მოუწოდებდა.

ჩვენც—სოციალისტ-ფედერალისტებმა, რომელნიც წარმოგვშვა ჩვენი ერის დამონებამ და ჩაგვრამ, რომელნიც აღგზარდა სამშობლოს ღირსების აღდგენის სტიქიურმა წყურვილმა,—ვსთქვათ კვლავ ერთხელ, რომ ჩვენი წმინდათა წმინდა ოცდა ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ განთავისუფლებული ქართველი ერი იყო, ამ აზრის გავრცელებას, განხორციელებას შევწირეთ მთელი ჩვენი ძალა, სიცოცხლე, პირადი კეთილდღეობა და სიხარული. ამას ვუმსხვერპლეთ და დაუქვემდებარეთ ყველაფერი და თვით სოციალიზმი, რომელიც მიგვაჩნია კაცობრიობის უმაღლეს გამარჯვებად და სამართლიანობის, სიკეთის და ბედნიერების სახედ, ჩვენ გვინდოდა და გვინდა იმისთვის, რომ მის შემწეობით ქართველი ერი უფრო იქნება ერი, უფრო გაშლის თავის შემოქმედებას, ამაღლდება ქონებრივად, გონებრივ-ზნეობრივად და იქნება ღირსეული წევრი სხვა ერთა შორის.

ვსთქვათ ეს თამამად, სრულის სიყვარულით, სავსე შეგნებით და მივმართოთ ყველას, ვისაც მარად უძგერდა გული ჩვენი მიზნისათვის, ვისაც ამხნევებდა და ამაგრებდა უმძიმეს გასაჭირშიაც და წაახალისებდა სამოქმედოთ, საბრძოლველად. მოვუწოდოთ, კვლავ გაიხსენონ განვლილი წლები, ჩვენი ბრძოლანი, ჭირნი და ლხინნი, გაიხსენონ დაღუპულ გმირამხანაგთა საფლავები და კვლავ აღიჭურვონ განახლებულის სურვილით მუშაობისა ჩვენი საქმისათვის. არასოდეს ყოფილა ასე საჭირო ჩვენი ძალა—ჩვენი აზრი და მოქმედება—ჩვენი სამშობლოსათვის, როგორც დღეს. განთავისუფლებული და ისევ დამონებული იგი უფრო მწვავედ ჰგრძნობს თავის ბორკილებს. დღეს უფრო დევნილია, ვიდრე წინად, უფრო დიდი განსაცდელის წინაშე დგას და უხმობს საშველად თავის შვილებს. დიდი სულიერი სიმაგრე და დიდი მოქმედებაა აუცილებელი მის განსათავისუფლებლად. ხოლო კიდევ უფრო მეტი ენერგია, უნარი, სიყვარული და თავგანწირვა უნდა მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანგრეულ ცხოვრების მოწყობას, წარსულის შეცთომების აცთენას და ურყევ საფუძვლების დამყარებას.

ამხანაგური მოწოდებით მივმართავთ დღეს უმთავრესად ჩვენს ახალგაზდობას. ყმაწვილური სიმხნევე, გამბედაობა, მხურვალე გული, მრთელი სული მას ავალებს განსაკუთრებულს აქტივობას. პარტია და მასთან ერი მას შეჰყურებს, მისგან მოელის დაწყობას, მომზადებას, ბრძოლას. ახალი ძალები—აი ერის იმედი. ტიტანური საქმე, რომელიც დაკისრებული აქვს ჩვენს დროს, უპირველესად უნდა შესრულდეს ჩვენი ახალგაზდების მიერ. რაც გააკეთეს უფროსმა ამხანაგებმა, დიდი იყო და კარგი. მაგრამ საჭიროა დღეს ახალი ენერგია და ძლიერი ხალისი და ეს ახალგაზდების ხელთაა. უფროსების ნაანდერძევი იდეა, გაკვლეული გზა მტკიცედ უნდა დაიცვან, წარსულის ტრადიციების პატივისცემა დასაყრდნობი იქნება მათთვის, ხოლო ამ წარსულს უნდა მისცენ ახალმა ძალებმა გადახალისებული სურვილი მეტის მოქმედების და ნაყოფიერობის. დეე, ახალგაზდებმა გამოიჩინონ მეტი მუშაობა და მიანიჭონ ჩვენს შეხედულობას ის გავლენა, რომლის ღირსია.

გვახსოვდეს, რაც ვსთქვით თავში: იდეა მოქმედებისთვის და მოქმედება იდეისთვის. თუ გვიყვარს ჩვენი ერი, გვინდა მისი განთავისუფლება და განვითარება, გვწამს, რომ ჩვენი გზა და შეხედულობა საუკეთესოდ განახორციელებს ამას, უნდა დაუღალავად, დღემუდამ ვიმოქმედოთ ჩვენი მისწრაფების შესასრულებლად.

ახალგაზდებო, ეს თქვენი საქმეა უპირველესად. თქვენი წმინდა გული, ცხოველი ხალისი, დაუშრეტელი ენერგია მოანდომეთ ამას. სამშობლოს ბედი და პარტიის სიყვარული მხურვალედ მოგიწოდებთ, ჩადგეთ პირველ რიგებში, განაგრძეთ უფროს ამხანაგების დაწყებული მუშაობა. რაც მათ გააკეთეს, ისარგებლეთ ის, რაც მათ დააკლდათ, შეავსეთ თქვენ. დაირაზმენით, გააცხოველეთ მოქმედება!

საქართველოს ეკონომიური მომავალი.

არავის არ მოუვა, აზრად სერიოზულად იჭვი შეიტანოს იმაში, რომ საქართველოს შეუძლია დამოუკიდებლობა. მხოლოდ პოლიტიკურის მიზნით და მაშასადამე ტენდენციურად გამოთქმულს გაიგონებთ, რომ საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურუსეთოდ არ შეუძლია არსებობა. თქმა არ უნდა, თუ ჩვენ არაფერს გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნის მეურნოების განსავითარებლად, ვერ ვიარსებებთ როგორც კულტურული ერი; ხოლო თუ განთავისუფლებულს საქართველოს ნორმალური განვითარების პირობებიც შეექმნება, იგი მისი უხვი ბუნებრივი სიმდიდრის მიხედვით, ერთ უმდიდრეს ქვეყნად იქცევა. ისტორიულად ხომ ცნობილია, საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე გაცილებით მეტი მცხოვრებთა რიცხვი (მე 12—13 საუკუნოებში) ბინადრობდა და ჩვენი კულტურის აყვავებაც ამ საუკუნოებთან არის დაკავშირებული, და თუ მაშინ ქვეყანა არსებობდა, მაშინდელი პრიმიტიული საწარმოო იარაღებით, დღეს უმაღლესად განვითარებულ საწარმოო საშვალებებით ჩვენი ქვეყანა სამოთხეთ შეიძლება აქციო. არ არის საჭიროო იმის მტკიცება, რომ ჩვენს ტერიტორიაზე სამჯერ მეტი მოსახლეობა იარსებებს, თუ დამყარდა ჩყენში მყუდრო ცხოვრება და გონივრულად იქნა გამოყენებული ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე. მკითხველმა კარგად იცის, რომ ევროპაში მიწის მოსავალი 2-3 ჯერ მეტია ვიდრე რუსეთში და ჩვენში და ეს იმიტომ, რომ ევროპაში როგორც მიწის დასამუშავებელი იარაღები ისე მიწის ხელოვნური განოყიერება უმაღლეს განვითარებას არის მიღწეული, მაშინ როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ პრიმიტიულ სასოფლო მეურნეობა სჭარბობს. ქართველი ხალხი როგორც ძველი კულტურის მატარებელი ადვილად ითვისებს თანამედროვე ევროპის ცივილიზაციის მეთოდებს მუშაობისას და სრულიად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სულ მალე ხანში ქართველი გლეხი და მუშა მიაღწევს ევროპის მუშის და გლეხის შრომის ნაყოფიერობის სიდიდეს, თუ საქართველოს მიეცემა შესაფერისი პოლიტიკური პირობები მისი განვითარებისათვის და მას ეყოლება თავის ქვეყნის მხურვალეთ მოყვარული ხელმძღვანელობა.

ჩვენი ქვეყნის მეურნეობა იმით დახასიათდება, რომ აქა გვაქვს ჩვენ საქმე როგორც სასოფლო ისე სამრეწველო მეურნეობასთან და თავისი ხასიათით საქართველო უფრო უახლოვდება ისეთ პატარა სახელმწიფოს, როგორიც არის შვეიცარია ან ნორვეგია, სადაც სასოფლო მეუნეობასთან ერთად სამრეწველოს დიდი როლი უკავია (შეიძლება ითქვას, რომ მეორე პირველს აჭარბებს), და არა წმინდა აგრარულ სახელმწიფოს, როგორიც არის ბულგარია, ძველი სერბია ან დანია და სხვა. ასეთი მდგომარეობა აიხსნება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი მდებარეობით, მისი მინერალური სიმდიდრეებით და აგრეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე მისი გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით. მისი გეოგრაფიული და ბუნებრივი მდგომარეობა—ზღვაზე მიკრული ქვეყანა, ევროპას და აზიას შუა—აძლევს თვალმიუწვდენელ პერსპექტივებს საქართველოს ეკონომიურ განვითარებას და მისი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებას. უშუალო კავშირი ევროპასთან, პრივილეგიური მდგომარეობა შედარებით სხვა კავკასიის რესპუბლიკებთან და მდებარეობა დიდ სავაჭრო გზაზე სპარსეთ-ინდოეთსა და ევროპას შორის—სხვა დამახასიათებელი თვისებებია ჩვენი ქვეყნისა და სასარგებლო ფაქტორები ჩვენი ეკონომიური მომავალის უზრუნველ ყოფისათვის.

მომავალი ეკონომიური მუშაობისათვის საჭიროა ხალხისათვის შესაფერისი ხელმძღვანელობა; ბუნებრივი სიმდიდრეების მიზანშეწონილად და უმაღლესი ტეხნიკური საშვალებებით გამოყენება მოითხოვს ინტელექტუალური ძალების მომზადებას და დარაზმვას. ამ მხრივაც ქართველ ხალხს შეუძლია სრულად დამშვიდებით შეჰყუროს მომავალს, ვინაიდან ცნობილია, თუ რა ენერგიით ეწაფება ჩვენი ხალხი უმაღლეს და სპეციალურ განათლებას და როგორ არა ადამიანურ პირობებში უხდება მას განათლების და სპეციალური ცოდნის შეძენა. დღევანდელი მაგალითი—ქართული უნივერსიტეტის აუდიტორიების და ლაბორატორიების მოსწავლეთა გაჭედილი სურათი,—მშიერ-მწყურვალე ჩვენი ახალგაზრდობა, მოკლებული ოდნავ კულტურულ მუშაობის საშვალებებს, რომელიც გატაცებით ეტანება უმაღლეს სწავლა-განათლებას—ეს იმის დამადასტურებელია, რომ მომავალში ჩვენი ხალხის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილი არის ყოველ დარგში ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას ამ მხრივ შეფერხება არა მოელის.

თუ რა განსაცვიფრებელია ჩვენი ახალგაზრდობის ასეთი თავგანწირული მუშაობა საქართველოს კულტურის ახსადგენათ და დასამკვიდრებლად, მოწმობს უცხოელთა შთაბეჭდილებანი, როგორც ჩვენ ეს პირად მოგვისმენია და ევროპის პრესაში გამოქვეყნებული გვინახავს. მართალია, დღეს ჩვენი ხალხი ძალიან ღარიბად ცხოვრობს, მოკლებულია ელემენტარულ კულტურულ ცხოვრების პირობებს, შეპყრობილია შიშით «უძლეველი» ჩეკასი. მიუხედავად ამისა ზე-ადამიანის ძალას და ენერგიას იჩენს მისი ქვეყნის კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლების გასამაგრებლად და განსამტკიცებლად. თუ ასეთ პირობებში ერი უნარს იჩენს თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეობის დასამკვიდრებლად, რა სასწაულს მოახდენს ის, როდესაც საქართველოს მიეცემა საშუალება თავისუფალი შრომისა და თავისუფალ გაშლის ნიჭისა და უნარის!

დღეს საქართველოში შრომის ნაყოფი მცირედ ფასდება, ვინაიდან მისი ნაწარმოების გასაღება შეზღუდულია; ქართველი ხალხის ნაწარმოები ან დაწესებულ ფასებში ხელის უფლებას უნდა ჩაბარდეს ან საზღვარგარეთის ფასებში უცხოეთში გაიყიდოს, მაშინ როდესაც ხალხი მოკლებულია საშუალებას უცხოეთის იაფი ნაწარმოები შეიძინოს და იძულებულია იმავე ხელისუფლებისაგან რუსეთის 4000 კილომეტრით დაშორებულ ფაბრიკებში ცუდათ და ძვირად დამზადებული საქონელი შეიძინოს. ასეთი სისტემა მეურნეობისა, არსებული რეჟიმით გამოწვეული არის საქაჩავი მანქანა, რომელმაც მშრომელი ხალხის ქონება—მისი ბუნებრივი, ფიზიკური და ინტელექტუალური ძალა—უნდა ამოსწუროს (ძველი ყაიდის კოლონიალური პოლიტიკა). მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, ხალხი იჩენს წარმოუდგენელ ენერგიას არსებობისა და ეს არის საუკეთესო დასაბუთება იმისა, თუ რამდენად შეუძლია ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებელი ეკონომიური არსებობა.

ზოგიერთ კონკრეტიულ მაგალითებს მაინც უნდა შევეხოთ საილუსტრაციოთ. იმერეთის ერთ-ერთი დიდი ეკონომიური ფაქტორი იყო ჭიათურის შავი ქვა, რომელიც დღეს ამერიკელებს გადასცეს ვითომდა ამ ბუნებრივი სიმდიდრის უკეთ გამოსაყენებლად. თანამედროვე ტეხნიკური საშუალებებით მორთული შავი ქვის წარმოება და სრულიად ჩამოყალიბებული საქმე უცხოელებს გადაეცა, რასაკვირველია მოსკოვის ფისკალური ინტერესებისათვის. ამ საგანს ეხლა არ შეუდგებით, ხოლო აღვნიშნავთ, რომ წლიური ღირებულება ამ წარმოებისა შეადგენს დაახლოვებით 25-30 მილ. ოქროს მანეთს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ 1913-ში გამოტანილი იყო საქართველოდან 1 მილიონ ტონაზე მეტი შავი ქვა. თუ ამ ციფრს შეადარებთ დღევანდელ საქართველოს ბიუჯეტს, რომელიც ოციოდე მილიონს არ აღემატება, დავინახავთ, თუ რა «ძნელი» ყოფილა საქართველოს დამოუკიდებელი ეკონომიური არსებობა. საკმარისია მხოლოდ ავღნიშნოთ კიდევ სხვა დარგები ჩვენი მეურნეობისა, როგორც თამბაქო, ჩაი, აბრეშუმი, სხვადასხვა მაღალი კულტურის მცენარეობა, რომელიც საუკეთესოთ ხარობს ჩვენი ქვეყნის შავი ზღვის ნაპირებზე და სხვა ადგილებში, რომ ნათლათ დავინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოთ, თუ რა ქვეყანასთან გვაქვს საქმე და რა ამოუშრეტელ საარსებო წყაროებს წარმოადგენს ჩვენი სამშობლოს ბუნება.

სრულიად თამამათ შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს საქართველოს არ ექნება მომავალში ისეთი ცუდი ეკონომიური პირობები, როგორც დღეს, როცა საქართველო იხდის აუარებელ ხარკს მოსკოვის სასარგებლოდ, როგორც ბაზარი მისი ცუდი ფაბრიკატებისათვის, როგორც დამონებული ქვეყანა, როცა ისეთ გამართულ წარმოებას როგორც შავი ქვისას, უცხოელებს აძლევს მოსკოვი თავისი პოლიტიკური და ფისკალური მიზნებისათვის. პერსპექტივაში კი არის თვალმიუწვდენელი განვითარების საშუალებანი, მისი განუზომელი გამდიდრება და მისი კულტურული ამაღლება. საქართველო უნდა გახდეს ერთი უმდიდრეს ქვეყანათაგანი, შემკული თანამედროვე ცივილიზაციის ყველა ატრიბუტებით; მისი შავი ზღვის ნაპირები გარდიქცევა მრავალფეროვან ცისარტყელად, თამბაქოს, ჩაის, მანდარინის და სხვა უმაღლეს კულტურის მცენარეობით აყვავებულ მინდვრებით; იმერეთი და სამეგრელო სასოფლო მეურნეობასთან ერთად გააჩაღებს მრეწველობას ბუნებრივი სიმდიდრის და სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების დასამუშავებლათ; აგრეთვე სვანეთი და ზემო იმერეთი შეუდგება უხვად დაჯილდოვებულ ტყეების და მინერალურ სიმდიდრეების გამოყენებას და ქართლ-კახეთი იქცევა ერთი დიდ განუწყვეტლივ ბაღებ-ვენახებად. მოხუცი და ბრძენი ტფილისი როგორც ცენტრი კავკასიისა და არა მარტო კავკასიისა, არამედ ახლო აღმოსავლეთისა, იქნება როგორც ძველად გზა შეჯვარადინებისა ინდოეთ-სპარსეთიდან მომავალი ნაწარმოებისა, და ევროპის თანამედროვე ცივილიზაციის და წარმოების პროდუქციისა.

შეერთება აღმოსავლეთისა და ევროპისა—არის სიბრძნე ჩვენი მომავალისა.

S. F.

საქართველოს დამოუკიდებლობა
და კავკასიის ერთა კავშირი.

საქართველოს თავისუფლება, საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება—დღეს სრულიად გარკვეული საგანია ქართველი ხალხისათვის. ამისთვის იბრძვის იგი თავგამოდებით და კარგად ხედავს, რომ ამ მისწრაფების განუხორციელებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მიახწევს ვერავითარ წარმატებას. დამოუკიდებლობა არის თავი და ბოლო ყველა მისი ზრახვის და მთავარი ღერძი მისი საზოგადოებრივი მუშაობის. ამ შემთხვევაში ქართველი ერის სულისკვეთება სავსებით ეგუება იმ საერთო მოძრაობას, რომელიც ფრიად დამახასიათებელია ჩვენი დროის და რომელიც მოითხოვს ყოველი ერის განთავისუფლების და სუვერენობის აუცილებლობას. აქაა საუკეთესო პირობები კაცობრიობის სრული განვითარების და საყოველთაო მშვიდობიანობის დასამყარებლად.

მაგრამ უკანასკნელ წლებში ლაპარაკია აგრეთვე კავკასიის ერების კავშირზე. აღიძრა საკითხი კავკასიის ეროვნულ სახელმწიფოთა კონფედერაციის. და ჩვენთვის საჭიროა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რამდენად გამოსადეგია ჩვენი დამოუკიდებლობისთვის ასეთი შეკავშირება და რამდენად ობიექტიური გარემოებანი ხელს შეუწყობენ ამის მოწყობას. ხომ არ შეზღუდავს კავშირი როგორმე ჩვენს თავისუფალ არსებობას, ჩვენს დაწინაურებას? აქვს თუ არა კავშირს საფუძვლები სინამდვილეში, თუ იგი უფრო თეორიული მოსაზრების ნაკარნახევი არის? და თუ სასარგებლოა, რამდენად სადღეისოა და შესაძლებელი?

ვიდრე ამაზე პასუხს გავცემდეთ ჩვენს თავს, მოკლედ მაგრამ გადაჭრით უნდა განვისაზღვროთ კომუნისტებისაგან. ეს მით უფრო, რომ ისინი დღეს ყველაზე მეტს ყვირიან ფედერაციასა და კონფედერაციაზე, ერების კავშირსა და ძმურს ურთიერთობაზე, რომელიც მათ ვითომდა დაამყარეს საბჭოთა სამფლობელოში. კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა მასხრობა და თვალთმაქცობაა, მათ ეზიზღებათ ეროვნება, როგორც კოლექტივური თავისუფლების გამოხატულება, ისე როგორც ვერ იგუებენ ადამიანის პიროვნებას; მათ არა სწამთ თავისუფლება არც კერძო პირის, არც საზოგადოების და რასაკვირველია არ იწამებენ ერს, ეროვნულ არსებობას, ვინაიდგან ერი ხომ თავისუფლების სახეა, ერი ხომ აუცილებლად ჰგულისხმობს თავისუფლებას, მის შემადგენელ ცოცხალ ინდივიდების თავისუფლებას, და სადაც ეს არაა, იქ ერი მარტო ცალიერი სახელია.

თუ უარყოფილია ადამიანის პიროვნება, საზოგადოება, ერი, იქ ცხადია არც ერების კავშირი შეიძლება არსებობდეს. და მთელი ეს სისტემა ავტონომიების, ფედერაციების და კავშირების კომუნისტების ხელში არის მარტოოდენ მექანიკური დანაწილება, ადმინისტრატიული ხასიათის, არსებითად გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯვალული უკიდურესი ცენტრალიზმით და უფრო მძიმე და სულის შემხუთავი, ვიდრე იყო ძველი წყობილების პოლიციური მართველობა. კომუნისტებმა წარყვნეს ეროვნულ თვითარსებობის შინაარსი, წარყვნეს ერების და სახელმწიფოების კავშირის იდეაც, და როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ან ერთზე, ან მეორეზე, ამას არავითარი შორეული მსგავსებაც არა აქვს ლენინის მიმდევართა მუშაობასთან.

ქართველ ერს უნდა, ჰქონდეს თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება—ეს ჩვენი პირველი დებულებაა, უდავო და მთავარი. მაგრამ დღევანდელი ვითარება გართულებული ურთიერთობის ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული თვისებისა იწვევს თავისუფალ ერების დაახლოვების საჭიროებას, რომ შეერთებულის ძალებით უკეთ დაიკმაყოფილონ თავისი შინა თუ საგარეო ინტერესები. საქართველოს უეჭველია აქვს ასეთი საერთო ინტერესები თავის მეზობელ ერებთან—სომხებთან, ადერბეიჯანელებთან. ბევრი ჩვენი ნაწარმოები ადვილად მოიპოვებს ბაზარს მათში და იმათი ჩვენში, ესაა ვაჭრობა-მრეწველობის სარგებლობა. საქართველოს საუკეთესო ადგილი უკავია კავკასიაში მით, რომ შავს ზღვასაა მიკრული და ამის შემწეობით მთელ მსოფლიოსთანაა დაკავშირებული, მთელ ქვეყნისკენ აქვს გახსნილი გზა. უსაქართველოთ დანარჩენი კავკასია და კერძოდ ბაქო ჩაკეტილი იქნება. მეორეს მხრით საქართველო კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან გაერთიანებული საუკეთესო სატრანზიტო გზაა ევროპასა და აზიის დიდ ნაწილს შორის. ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ჩვენი სამშობლოს საგარეო მდგომარეობაც: საქართველო პატარაა და გარეშე უხეში ძალის გამკლავება მისთვის სამძიმოა. ჩვენს ქვეყანას უკეთ დავიცავთ, როცა მთელი კავკასია ერთად იბრძოლებს—ეს რიცხვობრივადაც მეტს ძალას წარმოადგენს და მრავალ სტრატეგიულ უპირატესობას იძლევა.

იქ დასახელებული საერთო ინტერესები უეჭველად მოითხოვენ კავკასიის ეროვნულ სახელმწიფოების შეკავშირებას განსაზღვრულ პირობებში. ამან ოდნავადაც არის, არ უნდა შეზღუდოს არც ერთის წევრის—თავისუფალ სახელმწიფოს—საკუთარი ეროვნული ცხოვრება, სრული ეროვნული განვითარება და მთელი შესაძლებლობის გამლა. პირიქით ეს უნდა ეხმარებოდეს მათ, რაც შეიძლება უკეთესად უზრუნველჰყონ თავისი მდგომარეობა. საჭირო არაა აქ განვმარტოთ, თუ რა ფორმაში მოხდება კავკასელ ერების შეკავშირება, სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრ რა და რა დარგი მართველობისა იქნება საერთო. უთუოდ პირველ ხანებში საერთო უფრო მცირე ადგილს დაიკავებს და მხოლოდ შემდეგში თანდათან გაიშლება, როცა პრაქტიკულად დაამტკიცებს თავის ცხოველმყოფელობას და სარგებლობას.

კავკასიის ეროვნულ სახელმწიფოების—საქართველოს, სომხეთის, ადერბეიჯანის და ჩრდილო მთის—კავშირი კონფედერაციის სახით საჭიროა და სასურველი ჩვენთვის და საერთოდ ყველა კავკასელებისთვის. ის გონივრულად და ურთიერთის პატივისცემით მოწყობილი ხელს შეუწყობს ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას. მაგრამ ჩვენ აქედანვე ნათლად უნდა გავითვალისწინოთ ის დაბრკოლებანი, რომელნიც გააძნელებენ ამ მიზნის განხორციელებას. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ამიერკავკასიის მთლიანმა რესპუბლიკამ მხოლოდ რამდენიმე კვირა იარსება. გვეტყვიან, ეს უნიტარული რესპუბლიკა იყო და არა ეროვნულ რესპუბლიკათა კავშირი. მართალია ამ გარემოებას მნიშვნელობა ჰქონდა, დიდიც შეიძლება, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ კავკასელმა ერებმა უდიდეს გასაჭირის დროს ვერ შევძელით ძალების გაერთიანება და საერთო მოქმედება, მეტად საგულისხმიეროა. უნდა ვსთქვათ ახდილად, რომ კავკასია შეიცარია არაა და აქ მობინადრე ერებს შორის დიდი განსხვავება და ბევრი წინააღმდეგობაა. კულტურული დონე ამ ერებისა ერთნაირი არაა, განსხვავებული იყო მათი ისტორიული წარსული, საქმეს აბრკოლებს სარწმუნოებრივი დანაწილებაც. ერთგვარი არაა ეროვნული მთლიანობის შეგნება და გაერთიანების, მეზობლად მცხოვრებ ერების შეკავშირების მნიშვნელობის იდეას ყველა სათანადოთ არ ჰგრძნობს. ვფიქრობთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში. სახელმწიფოებრივი მტკიცე აზრი საკმაოდ მომწიფებული არაა. ადერბეიჯანელთა შორის სარწმუნოებრივი და რასიული ერთობისა გამო დიდია მიდრეკილება ოსმალეთისკენ და სომხეთის ხალხი დღევანდელ პირობებში, როცა მან დაჰკარგა თავის სამშობლო კერის დიდი ნაწილი, მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება და დიდს მისწრაფებას განიცდის რუსეთისაკენ.

გარდა ამისა კავკასიის კონფედერაციის შესაძლებლობისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ, რა სახით, რა ძალთა განწყობილების მეოხებით მოხდება რუსეთის აღდგენა კომუნისტების ბატონობის დამხობის შემდეგ. რუსეთისათვის ერთნაირად მისაღები არ დარჩება კავკასიის ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ ნაწილის დათმობა, და ამ ნიადაგზე შესაძლებელია დიდი შეხლა-შეტაკება. უეჭვოა აქ დიდს როლს ითამაშებს ის გარემოება, რომ ევროპის სახელმწიფოები, ზოგიერთები მაინც, შეეცდებიან რუსეთი იყოს მხოლოდ წმინდა რუსის სახელმწიფო და მას ჩამოშორდეს ის ტერიტორია, სადაც ცხოვრობენ სხვა ერები, დღეს იძულებით მომწყვდეულნი რუსეთის ფარგალში. ძნელია ყოველივე ამის წინდაწინ სავსებით გათვალისწინება და გადაჭრილი პასუხის მოცემა.

კავკასიის რესპუბლიკის კავშირს აუცილებელი საფუძველი აქვს სინამდვილეში. მომავალი მას ეკუთვნის უეჭველად, თუმცა ამა თუ იმ ვითარებას შეუძლია დროებით შეაფერხოს მისი განხორციელება, თუნდაც ნაწილობრივად. მაგრამ მთელი ჩვენი მისწრაფება უნდა მისკენ იყოს მიმართული—ეს დიდი საშვილისშვილო საქმეა. საკუთარი ერის სიყვარული ჰგულისხმობს სხვა ერების პატივისცემას და მათთან ძმურ ურთიერთობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამას მოითხოვს საერთო ინტერესი და სარგებლობა.

თავისუფალი საქართველოს აღდგენა—ეს ჩვენი პირველი და მთავარი მიზანია. მეორეა—მეზობელ ერებთან თანხმობა, კავკასიის კონფედერაცია. უნდა ვიმუშაოთ უკანასკნელისთვის მონდომებით და გულის დადებით, ეს საჭიროა დღესაც, ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ, რომელიც ხომ სადღეისო საერთო საგანია ყველა კავკასიელისთვის, ყველა რუსის მიერ დამონებულ ერისთვის...

ხიმ. ლეონიძე.

ახალგაზდა სოციალისტ-ფედერალისტებს.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ მივიღეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი და «მებრძოლთა ხმა». ეს საუკეთესო საჩუქარი და გამხვევებაა 26 მაისისათვის, რის მოძღვნა შესაძლებელი იყო თქვენს პირობებში.

მოწყვეტილთ იმ მებრძოლ სულისკვეთებას, რომელიც გამეფებულია მანდ, საქართველოში, მთელ ქართველ ახალგაზრდობაში, «მებრძოლთა ხმა» მოგვაგონებს ჩვენ მოვალეობას, მოგვიწოდებს იმ დიად ბრძოლის სიმძიმის გაზიარებისაკენ, რომელსაც მთელ ქართველ ერთან ერთად რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მედგრად აწარმოებს ქართველი ახალგაზრდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის ძვირფასია ყოველივე ცნობა თქვენი თავგანწირულ მუშაობისა და ბრძოლისა. იმედს გამოვსთქვამთ, მომავალში, მიუხედავად ყოველგვარ სიძნელე-დაბრკოლებისა, ჩვენი ურთიერთ კავშირი უფრო მჭიდრო იქნება. ეს აუცილებელი პირობაა, რომ ჩვენი, ახალგაზრდა სოციალისტ ფედერალისტთა, მოქმედება უფრო წარმატებით მიმდინერეობდეს.

აღმაშფოთებელი ცნობა ჯალათების მიერ მთელ რიგ ჩვენი ამხანაგების ცივ ქვეყნებში კიდევ გადასახლებისა გულს არ გვიტეხს. იმ დიდმა მსხვერპლმა, რომელიც ზვარაკად დაედო სამშობლოს სიყვარულს 24 წელს, ქართველ ერის ტრაღიკულ და სახელოვან აგვისტო-სექტემბრის დღეებში, საუკეთესო ამხანაგების გედეონ სვანიძის მეთაურობით, განუსაზღვრელ მწუხარებასა და გლოვასთან ერთად ჩვენში დააგუბა ზიზღი და სიძულვილი მოძალადეებისადმი და მოგვცა უდიდესი აღტყინება შემოჭრილ მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა სწორედ ის თაობა, რომელსაც ჯერ კიდევ რუსეთის თვითპყრობელობის დროს შექონდა ახალგაზრდა მუშებსა და მოწაფეებს შორის ეროვნულ-სოციალისტური თვითშეგნება. მათი უმეტესობა მსხვერპლი გახდა ბოლშევიკურ დაუნდობელ ტეროორის, ნაწილი ცივ ქვეყნებშია გამომწყვდეული, რომელთაც ნაცვლად მშობლიურ თბილ მზისა, შიმშილი, სიცივე და ათასგვარი გაჭირვება არგუნა რუსეთის «მუშათა და გლეხთა» მთავრობამ; ამ თაობის ნაწილი კი—იძულებით გადმოსახლებული თუ შემოხიზნული აქ თავის დასაღწევად მტრის გაშმაგებისაგან—მძიმე შრომით თავს ირჩენს თავისუფალ საზღვარგარეთ. მაგრამ ჩვენი ახალგაზდობის აწინდელი ბრძოლა რუსულ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ადასტურებს, რომ მსხვერპლად მიტანილი თაობის წმინდა საქმე საიმედო ხელშია. დღიდან გასაბჭოებისა ქართველ ახალგაზდობის ბრძოლა ბოლშევკურ ხელისუფლებასთან სოციალისტ ფედერალისტების ხელმძღვანელობით სწარმოებდა. სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ჩვენი პარტიულ ამხანაგების უდიდესი ორგანიზაცია იყო, გულისყურათ გადაიქცა მთელ ქართველ ახალგაზდობისათვის.

ქართველ ახალგაზდობის დიდი უმრავლესობა ჩვენი დროშის ქვეშ იყო. ამ ექვსი წლის ბრძოლა მოკლე, მაგრამ ღრმა ეროვნულ შინაარსის ხანაა, სავსე უამრავ მსხვერპლით და სამშობლოს დაცვისათვის თვალწარმტაც თავდადებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან მიხედვისას ჩვენ ვერ დავინახავთ ჩვენს მოქმედებაში ისეთ რასმე, რაც ჩრდილს ფენდეს ჩვენს წარსულს ან დაგვანახვებდეს მწარე შეცდომებს. ყველასათვის ნათელია ეროვნულ და სოციალისტურ მოძღვრებათა შედეგების ცხოველმყოფელობა და ესაა გზა, რომელიც ქართველ ერს და მის მშრომელ ხალხს მიანიჭებს თავისუფლებას, გამოიყვანს საკაცობრიო ასპარეზე.

და ამიტომ ეხლა, როდესაც ბრძოლის მეორე და უკანასკნელი ხანა იწყება—საბჭოთა კავშირის ნგრევის დაწყება ეს საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია—ჩვენ მეტი მხნე და ენერგიის გამოჩენა დაგვჭირდება. გვახსოვდეს მუდამ, თუ როგორ იბრძოდეს ახალგაზდა სოციალისტ-ფედერალისტები ქამსა რუსეთის თვითმყრობელობის დამხობისა და ჩვენი ეროვნული კერის აგების ხანაში, როდესაც მათი სისხლით ირწყვებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა განაპირა კუთხეები, რათა დაეცვათ სამშობლოს თავისუფლება და მიეცათ საშუალება თავის ხალხისათვის, დაემყარებია მისთვის მისაღები წესწყობილება.

ჩვენი მოქმედება უდიდესი პატივისცემა იქნება ერის განთავისუფლების და დიდებისათვის შეწირულ ამხანაგების ხსოვნის: პიტალო კლდე—გედეონ სვანიძის, ნაზ და კეთილშობილ გია აბაშიძის, მშვიდ, მაგრამ გატაცებულ ირაკლი ტყემალაძის, იშვიათ ქართველის გიგა ჩიქოვანის, მის ძმის კუკურის, პარტიისათვის თავდადებულ გიორგი მაღრაძის, შ. დოლიძის, გ. დიდუბელიძის, ს. იმნაძის, ჯერ სულ ახალგაზდა, მაგრამ სამშობლოს სიყვარულით და ბრძოლის ცეცხლის ალით ანთებულ კეკელიძის და სხვ.

დროებით ერთ მეორესაგან დაშორებულთ ჩვენ მჭიდროთ გვაკავშირებს ჩვენი წარსული და მიმდინარე მუშაობა.

ჩვენ ძლიერი ვართ ჩვენი აზრით, ჩვენი სიმართლით, ჩვენი იდეიურ გამარჯვებით და გვწამს ჩვენი მომავალიც.

უცხოეთში მყოფ ახალგაზდა

სოც.-ფედერალისტების ბიურო.

საერთაშორისო გართულება.

თავი რომ გავანებოთ წინანდელს ამბებს, ჯერ კიდევ ამ წლის თებერვალში ინგლისის მთავრობამ მეტად გამაფრთხილებელი ნოტა გაუგზავნა მოსკოვს, რომელშიაც ეუბნებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკებს: არსებობს საზღვარი, რომლის იქით სახიფათოა ინგლისის საზოგადოებრივი აზრის გაღიზიანება და თუ განაგრძეთ თქვენი დღევანდელი მოქმედება, ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება როგორც სავაჭრო ხელშეკრულობის ისე დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტაო.

ინგლისის მთავრობის მუქარა გამოიწვია ბოლშევიკების შეუწყვეტელმა მუშაობამ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ როგორც ინგლისში, ისე კალონიებში, ჩინეთში და სხვაგან. ამ შემთხვევაში დღევანდელი რუსეთი განაგრძობდა მეტის ენერგიით და სიმკაცრით იმპერატორების ანტი ინგლისურ პოლიტიკას და ლამობდენ ინგლისის დაშლითა და დაუძლურებით მთელი ევროპის დანგრევას. მაგრამ არავინ უნდა იფიქროს, რომ ბოლშევიკების მოქმედება მარტო ინგლისელ კონსერვატორულ წრეებში იწვევდა უკმაყოფილებას და აღშფოთებას. შარშან შემოდგომაზე ინგლისის მუშათა პარტიის კრებაზე არა ნაკლებ გამაფრთხილებელი სიტყვები იყო წარმოთქმული მოსკოვის დიქტატორების მიმართ. კრების თავმჯდომარემ რობერტ ვილიამსმა განაცხადა: «ტომსკი გვიგზავნის ბრძანებებს და ედიქტებს, და ფიქრობს, რომ ის და მისი ამხანაგები ხელს უწყობენ ინგლისის მუშათა კლასის გათვითცნობიერებას. ეს ტყვილია... 1918-20 წლებში ინგლისელი მუშები მოითხოვდენ—შორს ხელები რუსეთისაგანო. ჩვენ მაშინ პროტესტს ვაცხადებდით რუსეთის საქმეებში სამხედრო და ეკონომიური ჩარევის წინააღმდეგ. ჩვენ არ გვინდა ახლა არც პოლიტიკური და არც სხვა გვარი ჩარევა რუსეთისა ინგლისის საქმეებში. მე ვაცხადებ: შორს ხელი ინგლისის მუშათა მოძრაობისაგან!» ამ განცხადებას მხურვალე ტაშით შეხვდა მთელი კრება.

რასაკვირველია, ბოლშევიკებმა ყურად არ იღეს ინგლისელების გაფრთხილება და მოხდა, არც უნდა აუცილებლად მომხდარიყო, რაც მოსალოდნელი იყო. ინგლისმა გასწყვიტა ყოველივე ურთიერთობა რუსეთთან. ეს დიდი ისტორიული აქტია, რომლის ფართო შედეგები როგორც რუსეთისთვის, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბში ცხადია და უეჭველი. ამას კარგად ჰგრძნობდა ინგლისის მთავრობა, რომელიც მეტად ფრთხილად მიუდგა საგანს და თვითონვე აღნიშნა ამის სიმძიმე, როცა თებერვალში სთქვა: ჯერ კიდევ ვერიდებით რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტას, რადგან ანგარიშს ვუწევთ დღევანდელს საერთაშორისო მდგომარეობას და კარგად ვითვალისწინებთ, თუ რაც მოყვება ჩვენს აქტსო. ბოლშევიკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვიცობა განთქმულია, მაგრამ ისინიც ხედავენ, რომ ინგლისელების წაკიდება სახუმარო საქმე არაა და თუმცა ახლაც დასანახად ძალზე ყოყოჩობენ, მაგრამ ყოველს მათ მოქმედებასა და ნათქვამში აშკარად გამოსჭვივის დაბნევა და შიში. ერთი მარტო ის რად ღირს, რომ მოსკოვის ამყოლმა და ყურმოჭრილმა მონებმა ტფილისის კომუნისტებმა ქართველ მწერალთა კავშირს მანიფესტი გამოაცემიეს კაცობრიობის მიმართ: თავი გაგვანებეთ, ყელამდის ბედნიერები ვართ, თავდასხმას ნუ გვიპირებთო.

რასაკვირველია, უნდა დავამშვიდოთ გულგამსკდარი ბოლშევიკები, რომ ინგლისი და არც სხვა ვინმე ჯარს გემებზე არ ასხამს და საინტერვენციოდ არ ემზადება. ინგლისი რუსეთი არაა, ინგლისელები პოლიტიკურად ფრიად გაწვრთნილი და ფრთხილი ხალხია, ერთბაშად აპილპილება არ იციან. მაგრამ უნდა იცოდეს ყველამ, რომ ინგლის-რუსეთის ურთიერთობის შეწყვეტა მოასწავებს დიდს გარდატეხას და შეტრიალებას ბოლშევიკური რუსეთის და დანარჩენი ქვეყნების დამოკიდებულებაში. დიდი ომის დროს ევროპა შეეცადა რუსეთის საქმეებში ჩარევას, მაგრამ არც საკმაო ძალისთვის მიუმართავს და არც საჭირო შეგნება ჰქონდა ბოლშევიზმის საფრთხისა. მერე მოინდომეს რუსეთთან მორიგება, მშვიდობიანი განწყობილების დამყარება იმ იმედით, რომ ბოლშევიკები ნელნელა მორჯულდებოდენ და ევროპიულ ცივილიზაციის მეთოდს შეითვისებდენ. დიდმა სახელმწიფოებმა ერთი მეორის შემდეგ იცვნეს ბოლშევიკური მთავრობა, კარი გაუღეს თავისუფლად და ისევე პატივით მიიღეს, როგორც ყოველი სხვა უცხოელი კანონიერი მთავრობა. მალე გამოირკვა, რომ ბოლშევიკებს არავითარი სიმტკიცე არა აქვთ, მათი შინაური ცხოვრება მოუწყობელია, მათთან თანამშრომლობა შეუძლებელია, მათი ბატონობა ემყარება მხოლოდ იძულებას და ტეროროს და არა თუ თავის სახლში არ გაუკეთესდენ, არამედ მოინდომეს გარედაც ევროპაში, აზიაში, ამერიკაში საქმეების არევის, სამოქალაქო ომის, ძალმომრეობის გამოწვევა; მთელი მათი დიპლომატიური და სავაჭრო უზომოდ მრავალმრიცხოვანი წარმომადგენლობა მარტო იმის იარაღი იყო, რომ კომუნისტური პროპაგანდა და ჯაშუშობა გაეწიათ, შეთქმულობა მოეწყოთ, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა გაემწვავებიათ, სადმე აყალმაყალი აეტეხათ, ცეცხლი გაეჩინათ, რომ მთელი მსოფლიო კვლავ საყოველთაო ომში გახვეულიყო. ევროპა გაივსო ბოლშევიკების აგენტებით და ჩეკისტებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უთვალავი ფული იხარჯება «კომუნისტური იდეის» გასამარჯვებლად.

ევროპამ ბოლშევიზმი ახლო გაიცნო და დარწმუნდა, რომ იგი უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მისთვის, რომ არ თავსდება თავის ტერიტორიაზე და წალეკვას უპირებს ყველაფერს იმას, რაც დღემდის შეადგენდა ცივილიზაციის საფუძვლებს. მოთმინებიდან გამოსული დინჯი და დარბაისელი ევროპა ამოძრავდა და პირველად ხმა ამოიღო ინგლისმა, იმან, ვინც ყველაზე უწინ მოინდომა ბოლშევიკებთან მორიგება და მშვიდობიანი ურთიერთობა. ინგლისის დამოკიდებულების შეწყვეტა რუსეთთან სრულებით განცალკევებული, კერძოობითი მოვლენა არაა და არაა გამოწვეული ინგლისის სპეციალური ინტერესების შელახვით მარტო. რასაკვირველია, თუ ინგლისის მთავრობამ მოსპო ბოლშევიკებთან ყოველივე საქმე, ის მოქმედებდა ამ შემთხვევაში სრულებით თავის საჭიროების მიხედვით. მაგრამ მას აძლევს დიდი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობას ის გარემოება, რომ მასში ჩაქსოვილია საერთო ინტერესები, და ამიტომაა სწორედ აუცილებელი ამ აქტის გაშლა და ფართო შედეგების გამოწვევა. ეს აქტი თავისთავად ჯერ კიდევ არაფერია, შეიძლება, მაგრამ იგია დასაწყისი დიდი და ეგებ არც ხანმოკლე აშკარა ბრძოლისა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ყოველი ფხიზელი დაკვირებული ადამიანისთვის, რომელსაც კარგად ესმის ბოლშევიზმის არსება, ცხადი იყო თავიდანვე, რომ ბოლშევიზმი და ევროპეიზმი ერთმანეთს ვერ შეეგუებიან, ერთად ვერ მოთავსდებიან: ან ერთი ან მეორე. მათი თანაარსებობა და თანამუშაობა მოუხერხებელია. ან ევროპამ უნდა ალაგმოს ბოლშევიზმი, ან ბოლშევიკებმა უნდა დაიპყრონ ევროპა. ეს დღეს ნათელია თუ ყველასთვის არა, დიდი უმრავლესობისთვის მაინც.

ბრძოლა იწყება. რა სახეს მიიღებს ეს ბრძოლა, იქნება უიარაღო, თუ იარაღით, რა ტემპით განვითარდება? ჩვენ არ ვკისრულობთ აქ ამის განხილვას. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია შეგჩერდეთ ზოგიერთ გარემოებაზე კიდევ, რომ უფრო ნათელ იყოს დაწყებული ბრძოლის ხასიათი. ბოლშევიკები უპირდაპირდებიან და ებრძვიან არა მხოლოდ დღევანდელ ბურჟუაზულ წესწყობილებას, არამედ, ხშირად უფრო მეტის სიმწვავით და სიმკაცრით, ევროპიულ სოციალიზმს და თუ საუკადრისოდ არ მიაჩნიათ თავის მიზნებისათვის შეთანხმება და კავშირი უკიდურეს მემარჯვენეებთანაც კი,—ყოველგვარ საზიზღარ საშუალებას მიმართავენ სოციალისტების წინააღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ, მათი რიგების დასაშლელად, არ ერიდებიან ქრთამს, ჯა-
შუშობას, ძალადობას და მით უფრო თავხედნი ხდებიან, რაც
უფრო ლმობიერად და მოთმინებით ეპყრობიან მათ სოცია-
ლისტები. ბოლშევიკების მუშაობა მიმართულია საერთოდ
ევროპიული კულტურის წინააღმდეგ—ადამიანის პიროვნების
უაღრესი პატივისცემისა, რომელიც შეადგენს თანამედროვე
განათლებული კაცობრიობის უმტკიცეს საძირკველს, თავი-
სუფლების, თვითმოქმედების, დემოკრატიის, ყველაფრის
იმის წინააღმდეგ, რის მოსაპოვებლად საჭირო იყო მრავალ
საუკუნის და მრავალ თაობის მძიმე ბრძოლა. ბოლშევიზმი
მტერია არა ერთი ბურჟუაზიის, არა სოციალისტების, არამედ
იგი საერთო მტერია მთელი ევროპეიზმის.

ხოლო საგანი არ უნდა განვამარტივოთ და არ უნდა წარ-
მოვიდგინოთ, რომ ბოლშევიზმის თვისება ევროპაში ყველას
ერთნაირად ჰქონდეს შეგნებული და ყველა ერთნაირის ინტენ-
სივობით იყოს ამხედრებული მის დასამხობად. ბურჟუაზული
ელემენტების დამოკიდებულობა უფრო მწვავეა; უეჭველია
მათზე, გარდა საზოგადო ვითარებისა, დიდს გავლენას ახდენს
საკუთარი კლასობრივი ინტერესი, კლასობრივი შიში ბოლ-
შევიკების წინაშე. სოციალისტები, ე. ი. ცხრა მეათედი მუშა-
თა კლასისა მთელის არსებით ეწინააღმდეგება ბოლშევიკების
მსოფლმხედველობას და მეთოდებს, ბოლშევიკურ ტეროორს,
დიქტატურას, იძულებას, სამოქალაქო ომს; ისინი ფიქრობენ,
რომ სოციალიზმის განსახორციელებლად საჭიროა სათანადო
ეკონომიური პირობები, პოლიტიკური და კულტურულ-
მორალური მომზადება, რაიც ჯერ მთლად არ არსებობს
ევროპიელ საზოგადოებაში. ყველაზე ძლიერი მუშათა მოძრა-
ობა გერმანია-ავსტრიაშია, ინგლისში, ბელგიაში და აქ ყვე-
ლაზე სუსტი გასავალი აქვს ბოლშევიზმს; ამ ქვეყნებში სო-
ციალისტები უსასტიკესნი მებრძოლნი არიან ბოლშევიკების.
მაგრამ სოციალისტებს შორის საზოგადოთ სხვადასხვა მიდ-
რეკილებაა: ზოგი ფიქრობს, რომ კომუნიზმი ღუპავს მუშათა
საქმეს და აუცილებელია დაუნდობელი ომი მასთან; ზოგის
აზრით კი, მიუხედავად უვარგისობისა, ბოლშევიზმის არსებო-
ბა მაინც საჭიროა, ვინაიდგან მის დამხობას რუსეთში მოყვება
დიდი რეაქციის გამეფება მთელ დედამიწაზე. ასეა თუ ისე,
სოციალისტები თუ თავის სახელმწიფოებში მედგრად ებრ-
ძვიან ბოლშევიკებს, თვითონ ბოლშევიკურ რუსეთის მიმართ
ვერ აწარმოებენ გაბედულს პოლიტიკას. მაგრამ თვითონ
ბოლშევიკები ისე თავშეუკავებლად განაგრძნობენ თავის ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ მუშაობას, რომ ბოლოს და ბოლოს სოციალისტებიც ვერ რას გახდებიან და ვერ შეაკავებენ მთელი განათლებული ქვეყნიერების ამხედრებას ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

რომ ჩვენი საშშობლოს საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული ამ ისტორიულ მოვლენებთან, ამას, ცხადია, არ ესაჭიროება ახსნა-განმარტება. და ჩვენთვის აი რა არის უმთავრესი, ფხიზელი დაკვირვების და მოსაზრების ღირსი: იწყება ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ, ბოლშევიკური რუსეთის ლიკვიდაცია (ნუ განვსაზღვრავთ დროს თვეებით!), ეს მოხდება, მოხდება ფართო მასშტაბით და ამ დიდ ბრძოლაში ჩვენი ძალის მნიშვნელობა ჩასათვალი არაა, არც ინგლისი არც სხვა თავის გამარჯვებას საქართველოზე ვერ დაამყარებს; ხოლო როცა ბოლშევიზმის ნანგრევებზე ახალი რუსეთი წარმოდგება, როგორ გადაწყდება ჩვენი ბედი—ისევ ბორკილებით ვიქნებით მიჭედილი რუსეთზე, თუ შევძლებთ ერთხელ და სამუდამოთ ჩვენი დამოუკიდებლობის დამკვიდრებას?

აი რა მოითხოვს ჩვენგან განსაკუთრებულს ყურადღებას. აი სადაა უდიდესი საფრთხე. აი სად აშკარავდება მთელის სიცხადით საშინელი დანაშაული ქართველ მოღალატეების, რომლებიც წინ მოუძღოდენ მოსკოვის ჯარებს საქართველოში შემოსასვლელად!

ს. ფირცხალავა.

ეკონომიური იმი.

ინგლისის-რუსეთის კონფლიკტმა მთელი მსოფლიო აახმაურა. რუსეთი გაირიყა, მისი «სოციალისტური» ცა ჯოჯოხეთურათ მოიღრუბლა, საცაა კრემლს თავზე მეხი უნდა დაასკდეს. ინგლისის მიერ რუსეთის დიპლომატიური და სავაჭრო წარმომადგენლობის ლონდონიდან გარეკვა, ახალი პოლიტიკური სიტუაციის მომასწავებელია. ჩიჩერინის გაცხარებული სირბილი ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში, მისი ღრეჭა, მუდარა, ხვეწნა და დაპირებანი უშედეგოთ დამთავრდა. ჩიჩერინი ამ ბოლო დროს გერმანიაში დაძრწოდა და მათხოვრობდა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს შტრეზემანს, როგორც ზოგიერთი გერმანული გაზეთი მწარე ირონიით აღნიშნავდა, ბადენ-ბადენში გაეკიდა, შტრეზემანმაც თავის «კოლეგას» სადილი აჭამა, დაამშვიდა და გზა დაულოცა: «გერმანია ამ კონფლიქტში ნეიტრალური დარჩება, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ყურადღება იმასაც უნდა მივაქციო, ტკბილად დაუმატა გერ. საგ. საქმეთა მინისტრმა, რომ მესამე ინტერნაციონალმა და რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ უნდა შესწყვიტოს თავის პროპოგანდა აქაც, გერმანიაში, თორემ ამას არა სასარგებლო შედეგები მოყვება თქვენთვის»-ო.

შემცდარი არ იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ინგლისის ასეთ გადამწყვეტ ნაბიჯს, წინ უსწრობდა მისი ამერიკა, საფრანგეთ, იტალიასთან შეთანხმება. ინგლისის მაგალითს დღეს თუ ხვალ სხვა სახელმწიფოებშიც წაბაძავენ. ამერიკის მკვახე სიტყვა რუსეთის წინააღმდეგ, საფრანგეთის პრესის მის წინააღმდეგ გალაშქრება, რუსეთის იურიდიული ცნობის კითხვის (იმ ქვეყნებში, სადაც დღემდე იგი არ უცვნიათ) ისევ რამდენიმე წლებით გადადება, ბოლშევიკური ტირანიის შეურიგებლობა, რუსეთისამდი უნდობლობა ყველგან, ერთბაშად გამომზეურდა მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ფრაზეოლოგია გაქრა და მოთმინებიდან გამოსულმა ინგლისმა ლონდონში მაგარი ხელი მაგიდაზე დაარტყა.

პირველი სილა რუსეთს, ამასწინად, მისი მოზრდილი ტერიტორიის ჩამოჭრით და რუმინიისადმი მიკუთვნებით გაარტყეს, მეორე უფრო მაგარი სილა მას ინგლისმა ახლა გააწნა. ნორმალურ სახელმწიფოსათვის ეს სილა ომის წინამორბედია; მაგრამ რუსეთი კიდევ მრავალ სილას აიტანს, მას ძალა არ შესწევს სახელმწიფოებრივ თავმოყვარეობის, პრესტიჟის დაცვისათვის, მან კარგათ იცის თავის ძალის ამბავი, იცის საბედისწერო ბოლო. გერმანიის ნეიტრალობის ხანგრძლივობა დიდი კითხვაა. დამარცხებული გერმანიის საგარეო პოლიტიკა არ არის დამოუკიდებელი, იგი იძულებული იქნება, კონფლიკტის გამწვავების და გაღრმავების დროს, ნეიტრალობაზე უარი სთქვას, არც იქითი-არც აქეთი პოლიტიკა უარყოს და აშკარათ დადგეს ან იქით ან აქეთ, ან რუსეთი აირჩიოს ან ინგლისი, ორ სკამზე ჯდომის სიოსტატე ველარ უშველის. გერმანიის ნაციათა ლიგაში შესვლა, შერიგებითი მუშაობა, ნაციათა ლიგის მე-16 მუხლი, მისი ამ ბოლო წლების ანტანტასთან შეთანხმების გზაზე დადგომის პოლიტიკა, მისი სასიცოცხლო ინტერესი ამას დაჟინებით მოითხოვს. ეს ნეიტრალობაც გერმანიის, იმ მრავალ, ანტანტასთან სადაო კითხვების, მისთვის სასარგებლოთ გადაწყვეტის საშუალებისათვის არის მოგონილი. საფრანგეთის და გამარჯვებულ ანტანტის მიერ დაკავებული დიდი ტერიტორია, საინდუსტრიო და ნედლი მასალის ცენტრები, დანციგის კითხვა, პოლონეთის კორიდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორი და სხვა მრავალი სადაო კითხვები, აი სად მარხია კუ-
დი გერმანიის ნეიტრალობის. ამ კითხვების ასე თუ ისე გერ-
მანიის სასარგებლოთ გადაწყვეტა, აი ფასი მისი ნეიტრალო-
ბის დარღვევის, ინგლისის და მის მოკავშირეთა მხარეზე გა-
დასვლის. ამ ვაჭრობას ნათლათ ხედავთ გერმანიის პრესაში.

გერმანიის ნეიტრალობა მანამდის იქნება, სანამ მისი ნე-
ტრალობა უვნებლი იქნება ინგლისისა და მის მოკავშირეები-
სათვის, სანამ ეს მათი ინტერესებისათვის მოსათმენია.

რუსეთის მიერ საზღვარგარეთ სესხის და კონცესიების
ძებნას ფეხი ამოუკვეთეს. კომუნისტების მიერ, საზღვარ-გა-
რეთელ კაპიტალის დახმარებით «აღმშენებლობას», ეკონო-
მიურ და ფინანსიურ ჩხირკედელობას ბოლო მოუღეს. გაჭრა
ბოლშევიკების ილუზიები, კაპიტალისტურ ქვეყნებში ფუ-
ლის შოვის, სესხის, კონცესიების, რამდენიმე წლის ევროპა-
ში «ნაყოფიერი» ფულის ძებნის და დიდი პოლიტიკური
«მიღწევების» ძრწიალი, მათხოვრობა, ჩოქვა, ხოხვა და ვედ-
რება.

უცხო კაპიტალის დახმარების გარეშე აუცილებელია
რუსეთის ეკონომიურ-ფინანსიური დამხობა, ბოლშევიკებმა
ეს კარგად იციან, მიტომ «ინებეს» და «გააბედნიერეს» თავი-
ანთი მონაწილეობით ყენევაში მსოფლიო მრეწველობის, ეკო-
ნომიურ-ფინანსიური კითხვების მოგვარებისათვის, მოწვეუ-
ლი კონგრესი. ბოლშევიკებს ფული ჭირდებათ, მათი სახელ-
წიფოებრივი ეკონიმიურ-ფინანსიური მდგომარეობა არასო-
დეს ისეთი უიმედო არ ყოფილა, როგორც დღეს. მოშლილი
სამრეწველო-სამეურნეო დარგებში მწარე კრიზისი, სახელმ-
წიფო კაპიტალის სიმცირე, მცხოვრებთა სიდუხჭირე, სიღა-
რიბე და გაჭივრება, აუტანელი სიძვირე და სახელმწიფოებრი-
ვი ექსპლოატაცია, ნახევრათ მინგრეული, გაჩერებული ქარხ-
ნები, უმუშევრობა.

ძალით შეკოწიწებულმა და შეთხზულმა აკტიურმა სავაჭ-
რო ბალანსმა, საქმის გამოკეთების მაგიერ, უფრო გააუარესა.
ბოლშევიკების საყვარელ «აღმშენებლობითს» მუშაობას,
ამით მუხრუჭი მოეჭირა. ცდა სამრეწველო საგნებზე ფასების
დაკლებისა გადაიქცა ფასების მომატების სინამდვილეთ, ექს-
პერიმენტები სხვა და სხვა ეკონომიური პოლიტიკის, ეკონო-
მიური დაწოლვის, ხალხის შეუბრალებლად დაბეგვრის და
ცარცვის სახელმწიფოებრივი კაპიტალის შესაქმნელათ, ჩერ-
ვონეცის ფასის ხელოვნური შეჩერება, ყველაფერი ეს ეკონო-
მიურ-ფინანსიურ ქაოსად გადაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, რომ ამდენს ვლაპარაკობთ, ცოტა ბოლშევიკებიც ავალაპარაკოთ, თავიანთ შინაურ მდგომარეობაზე:

სახალხო მუშათა კომისარი ბახუტოვი, ერთ ერთ თავის მოხსენებაში ამბობს: «უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებელ და სანიტარულ ღონისძიებათა მიღება, მრავალ სამრეწველო დარგში, სრულიათაც არ დგას თავის სიმაღლეზე, ყოველ ას მუშაში 5,5 ბავშვები არიან, (სინამდვილეში ალბათ 3-5 ჯერ უფრო მეტი. კომუხისტ სტატისტიკა 3-ჯერ მაინც უნდა გაამრავლო ან გაყო, იმის მიხედვით თუ რის შესახებ და რაზეა ლაპარაკი). უკმაყოფილება რვა საათის სამუშაო დღის უმთავრესათ შინაურ ინდუსტრიაშია გამეფებული. მუშები უკმაყოფილონი არიან, სამუშაო ტანისამოსების ხარისხოვანებით. მრეწველობაში ძალიან ცუდი მდგომარეობაა ტეხნიკური და სანიტარული. ეს არის მიზეზი ხშირ უბედურებათა, დაავადმყოფების და მოწამვლის. ყოველ 1000 მუშაზე წელიწადში 97 უბედური შემთხვევაა. უიმედო მდგომარეობაშია, ტეხნიკურ, სანიტარულ ნაკლებობით ურალის სამრეწველო დარგი»-ო.

საბჭოთა სახალხო კომისარიატის თავმჯ. მოად. ლეჟავამ, სასწავლებელთა წარმომადგენლების კონფერენციაზე განაცხადა: «ჩვენთვის ეხლა არა თუ ძველი სახელმწიფოს, მხოლოთ სამეურნეო ძველი მარაგი არის ამოწურული, არამედ სულიერი მარაგიც»-ო. მოს. «იზვესტია» 29 მაისი 27 წ. (გრძელი სიტყვა, მოკლეთ ითქმის: გავკოტრდითო).

«ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი დიდ წარმოებათა, ზაფხულში შეჩერებული იქნება, მუშაობის გადაახლების მიზნით»-ო. «იზვესტია» 29 მაისი 27 წ.

(გადაახლების მიზნით შეჩერება ასახსნელია, ნედლი და ტეხნიკური მასალის უქონლობით). იმავე დღის «იზვესტიაში»— მოსკოვი: «ყველგან კიდია რეკლამები: ფასები საგრძნობლათ დაწეულია, საქონლის ხარისხმა მოიმატა,—სინამდვილეში კი წინააღმდეგი მტკიცდება, ფასები ერთი ორათ გაიზარდა, საქონლის სიხარისხე საგრძნობლათ გაცუდდა»-ო.

«იმ დროს, როდესაც კერძო ვაჭრობაში კარაქი 25 კაპ. გაიაფთა, სახელმწიფო ვაჭრობაში 25 კაპ, გაძვირდა». «სახელმწიფოს თევზის მრეწველობას 3 მილიონი მანეთი ზარალი აქვსამ დარგის რამდენიმე ნაწილი შეჩერებულია». მოსკ. «ეკონ. ჟიზნ»-ი 29 მაისი 27 წ.

ეს პატარა ცნობებიც, საკმაოდ ნათელყოფს ბოლშევიკურ რუსეთის დღევანდელ ეკონომიურ ფინანსიურ მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობას. მისი ვულკანისებური პოლიტიკური მდგომარეობა არ ახალია-ძველია.

აღმშენელობისათვის უმედეგო ჭაპან-წყვეტის შემდეგ, ბოლშევიკებისათვის ნათელი გახთა: ერთად ერთი გზა მხოლოთ უცხოეთში სესხის აღება იყო. ეს გზაც ინგლისმა გადაუღობა. ეკონომიური ომი გამოუცხადა. უცხო კაპიტალის სესხის იმედები გაქრა და სამუდამოთ დაიმარხა. გარდაუვალი საფრთხე მოახლოვებულია, რუსეთის დამარცხება ამ ომში აუცილელია, ბოლშევიკური რეჟიმის ძლიერი კრიზისი დადგა.

იარაღით ომის აუცილებლობა ჯერ არ ჩანს; ყუმბარებით საკითხის გადაწყვეტის საჭიროებას ინგლისი არ ხედავს, ეს არც არის რუსეთის დღევანდელ მდგომარეობისათვის საჭიროა, ეკონომიურ-ფინანსიური ომი ასეთივე დიდი საფრთხეა დღეს რუსეთისათვის, როგორც იარაღით ომი.

ინგლის-რუსეთის კონფლიკტის განვითარებულ სტადიაში გადასვლა და საერთაშორისო ხასიათის მიღება ახლო დროის მოსალოდნელობაა, ნაყოფი ამ ეკონომიური ომის ახლო მომავლის საქმეა.

ს. მუშაერთელი.

აგრარული საკითხი.

(სადისკუსიო კითხვები)

ნურავინ გაიკვირვებს, რომ დღევანდელ მეტად პოლიტიკურ მომენტში ისეთ საგანზე ვილაპარაკო, როგორიცაა აგრარული საკითხი. დღეს ხომ ყველას გულისყური ჩვენს აწინდელ ეროვნულ მდგომარეობაზეა მიქცეული—ყველა საქართველოს განთავისუფლებას ჰფიქრობს, ამისთვის მუშაობს მხოლოდ. ეს მართალია, ეს გასაგებია და მეც სავსებით ვიზიარებ ამ მისწრაფებას. ხოლო ჩემის აზრით, ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური საჭიროებანი, ის, რის გაკეთებას მტკიცედ უნდა მოვკიდოთ ხელი ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდანვე. მზად უნდა ვიყვნეთ ყოველგვარი აღმშენებლობითი მუშაობისათვის და თუ აგრარული საკითხი ერთი უმთავრესთაგანია ყველა ერისათვის, მით უფროა ჩვენში, სადაც მიწის მუშაობისა და სოფლის მეურნეობის პრობლემა შეადგენს საფუძველს ხალხის ქონებრივ კეთილდღეობისათვის.

ჩვენმა პარტიამ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ გათვითცნობიერებისა და თავისუფლების მოპოვების საქმეში. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ჩვენი მიმართულების როლი დამთავრებულად არ ჩაითვლება. მაგრამ აქ—ეროვნულ არსებობის საკითხში—ჩვენ საკმაოდ გარკვეულნი ვართ, ბევრი გვიმუშავნია, ბევრი დაგვიწერია და საჭიროებისა და სარგებლობისათვის საყოფნი მასალა არსებობს სახელმძღვანელოდ, სამოქმედოთ. ამან მისცა ჩვენს პარტიას სახელი ეროვნულისა, და მისი მუშაობა და ნამუშევარი ყოველთვის ძვირფასი იქნება ყველა მიმართულებისთვის, რომელიც ამა თუ იმ გზით მოღვაწეობს საქართველოსა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

მაგრამ ჩვენი პარტია ამაზედ არ უნდა შეჩერდეს, რასაკვირველია. თუ მას უნდა დაიმსახუროს კვლავ პატივისცემა და სიყვარული ქართველი ხალხისა და გახდეს პარტია მომქმედი და გავლენიანი საქართველოს პოლიტიკურსა და სოციალურ ცხოვრებაში, მან უნდა მოკიდოს ენერგიულად ხელი მიწის მუშების, გლეხობის ინტერესების დაცვას, მათი საჭიროების გარკვევას, მათი მოთხოვნილებების პროპაგანდას, ბრძოლას მათი ქონებრივ-კულტურულ განვითარებისათვის, იმ ზომების გამონახვას, რომლებიც შეაძლებინებენ ჩვენი სოფლის მეურნეთ იყვნენ მონაწილენი და თანამშრომლები საერთო დაწინაურებაში. უეჭველია, ჩვენი მუშაობა წინად მარტო ეროვნული სახეობის აღდგენის თვალსაზრისით არ ამოიწურებოდა. როგორც პარტია სოციალისტური, დიდს ყურადღებას ვაქცევდით გლეხობას და გლეხობაში მუშაობას. მაგრამ ვფიქრობ, რომ აქამდის ჩვენ მიწისა და გლეხის საკითხს მივუდგებოდით უფრო განყენებულად, თეორიულ-სოციალისტურად. საჭიროა კია, საქმეს უმთავრესად პრაქტიკულად შევხედოთ და ჩვენს პირდაპირ მიზნად დავისახოთ, სოფლის მეურნეობა ისეთ პირობებში ჩავაყენოთ, რომ უაღრესად ნაყოფიერი შეიქნეს, სავსებით უზრუნველჰყოს მიწის მუშა დღეს და იმავე დროს შესაძლებელი გახდეს საერთოდ მეურნეობაწარმოების უმაღლეს ფორმებში გადასვლა.

იმის თქმა არ მინდა, ცხადია, აგრარულ საკითხში სოციალისტობას თავი გავანებოთ თქვა. არა. მაგრამ სოციალიზმი ხომ იმის გარდა, რომ უმაღლესი ზნეობრივი მცნებაა, იგი არსებითად ეკონომიური მოძღვრებაა, რომელმაც უნდა დაამყაროს უკეთესად მოწყობილი და უფრო ნაყოფიერი მეურნეობა, ვიდრეა დღევანდელი კაპიტალისტური. რომ დამტკიცდეს, სოციალიზმი წარმოებას გააუარესებს და დააქვეითებს, მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ვერავინ დაიცავდა და თვითონ ცხოვრება გარიყავდა.

მაშასადამე რაკი სოციალისტობა უპირველესად ჰგულისხმობს ზრუნვას მეურნეობის გაუმჯობესობისათვის, ჩვენი მთავარი საზრუნავი აგრარულ საკითხში უნდა იყოს სოფლის მეურნეობის ამაღლება. და თუ ეს ასეა, საქმე უნდა დავიწყოთ არა ისე, როგორც დღემდის, არამედ ცოტა შორიდან და მერე მივიდეთ იმ ზომებამდე, რომელთა განხორციელებას ჩვენ თავიდანვე ერთბაშად ვაპირებდით. საჭიროა აუცილებლად აგრარული ნაწილი ჩვენი პროგრამისა გადასინჯულ იქნეს და ზოგი რამ, შესაძლებელია, შესასწორებელი გახდეს. წინად ჩვენ უფრო გვიზიდავდა თეორიული სოციალისტური მისწრაფება, დღეს ჩვენს ყურადღებას უნდა იპყრობდეს უპირველესად სოფლის მეურნეობის პირობების გაუმჯობესობა და გლეხის უკეთესი ქონებრივი უზრუნველყოფა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი წინანდელი გზა და ახალი ერთმანეთს შეხვდებიან, ხოლო ახალის მეთოდით დაწყებული მუშაობა უფრო მალე და მკვიდრად მიგვიყვანს მიზნამდე. და როცა მიწის მუშაობის მდგომარეობის გაუკეთესებაზე ვილაპარაკებთ, ისეთს საშუალებებს უნდა მივმართოთ, რაც ეგუება ხალხის ადათებს, საუკუნოებით შემუშავებულს წესებს და საერთოდ სულიერ ბუნებას. განვითარება ხომ ისაა, რომ აწინდელს დაეყრდნო და ისე გადადგა ნაბიჯი წინ.

ვერც მიწის სოციალიზაცია, ვერც სრული სოციალიზმის განხორციელება ჩვენი სოფლის მეურნეობის ტეხნიკის მდგომარეობაში ვერაფერს შემატებდა ვერც თვითონ გლეხობას, ვერც საერთოდ ქვეყანას. ამიტომ მთავარი საქმეა დღეს, ნაცვლად ახლანდელ ჩვენებურ პირველყოფილ მიწათმოქმედებისა გადასვლა რაციონალურზე, რომელიც ერთი ათად გაადიდებს სოფლის ნაწარმოების მოსავალს. საჭიროა საუკეთესო ჯიშის და თესლის შერჩევა, გაუმჯობესება დახვნის-დათესვის, მოვლის, მოსავლის პატრონობის და შენახვის, სრული გამოყენების. მთელი საქართველო უნდა დაიყოს რაიონებად იმის მიხედვით, თუ სად რა უფრო იხეირებს და არ უნდა დარჩეს უსარგებლოდ არც ერთი მტკაველი მიწა. უნდა გამოანგარიშებული იქნეს დანამდვილებით, ჩვენ რა დაგვჭირდება თვითონ და რის გარედ გატანა შეგვიძლია და სახეიროა. აუცილებელია გზების მოწყობა და საქონლის ბაზარმე მიტანის სრული შესაძლებლობა. ჩვენი გლეხი ადვილად ეტანება სასარგებლო სწავლას, და თუ სახელმწიფო მიაწოდებს აგრონომიულს ცოდნას, უჩვენებს მაგალითებს საცდელ მინდვრებზე, გაუჩენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქტორებს, გაუმართავს მისაწვდომად თესლისა, ნერგებისა და იარაღების საწყობებს, მიაწოდებს კრედიტს—ჩვენი სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური გაუმჯობესობა შესაძლებელია სულ მალე განხორციელდეს.

მეორე საზრუნავია აგრე ვსთქვათ სოციალური ელემენტების შეტანა მიწის მუშაობაში, არა თეორიული მოსაზრებით, არამედ თვითონ მეურნეობის საჭიროებისათვის. დავასახელებ ზოგიერთებს: ჩვენი დღევანდელი სიღარიბე ხელს შეგვიწყობს, რომ გლეხობა მიეჩვიოს შეერთებას და შეკავშირებულად საქმის გაძღოლას. მიწის უკეთესი დამუშავებისთვის საჭიროა კულტურული იარაღი, რის შეძენა ერთი გლეხისთვის მეტად ძნელია და ამას კი ადვილად მოახერხებს შეერთებულის ძალით რამდენიმე ოჯახი. ქართლში ხომ დღესაც გლეხები აერთებენ ხარებს და ისე ხნავენ ყანებს. ასევე ითქმის სხვა იარაღებზე—სალეწავ, საფშვენ და სხვა მანქანებზე. ამ პრინციპის გაფართოვება შეიძლება თანდათან და ეს დიდს სარგებლობას მოუტანს სოფელს.

ჩვენი სოფლის ნაწარმოების განაღდებაში შეკავშირებამ საკმაოდ ნაყოფიერი როლი ითამაშა, ნდობა და პატივისცემაც დაიმსახურა გლეხების. სახეში მაქვს კოოპერაციები აბრეშუმის პარკის, ხილის, ღვინის, მატყლის, თამბაქოს გასაღების საქმეში. ჩვენს პირობებში, როცა კერძო წარმოება და ვაჭრობა ასე სუსტია, სოფლის მოსავლის კოოპერატიულად დამუშავება, შენახვა და გაყიდვა ყველაზე უფრო მიზანშეწონილია და ხელსაყრელი. მტკიცება არ უნდა, რომ ასეთი საშუალება თვითონ მწარმოებლებს—გლეხებს მეტს სარგებლობას მოუტანს. აი ამ საწარმოვო და სავაჭრო კოოპერაციების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება სოფლის დაწინაურებასა და წარმატებაში, თუ ეს რასაკვირველია შეკავშირებული იქნება სხვა ხელშემწყობ პირობებთან. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ თანამშრომლობა და კოოპერაცია მიწის დამუშავებასა და ნაწარმოების გასაღებაში და აგრეთვე საჭირო საქონლის—მოსახმარებელის თუ იარაღის—მოპოვებაში ერთად ერთი მკვიდრი გზაა ჩვენი სოფლის განსავითარებლად, უფრო და უფრო მაღალ ფორმებზე გადასასვლელად. ეს შეაყვარებს გლეხობას საზოგადოებრივობას, ერთობას, შეაყვარებს იმიტომ, რომ აქ დაინახავს თავის პირად სარგებლობას და საჭიროების დაკმაყოფილებას. და გლეხი ხომ ყველაფერს ყოვლის უწინარეს ინტერესის თვალით უყურებს.

შემდეგ იბადება კითხვა მიწის მფლობელობის: მიწა უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს კერძო საკუთრება, თუ უნდა შეადგენდეს მთელი სახელმწიფოს, საზოგადოების კუთვნილებას? ამ საგანზეა დღეს მიქცეული ყველა ქვეყნის ყურადღება და საყოველთაო მისწრაფებაა მიწის საკუთრების შეზღუდვის. საამისო რეფორმა ზოგან უკვე მოხდა, ზოგან დღის წესრიგშია. როგორ უნდა გადაიჭრას ჩვენში დღეს? ისე როგორც ახლანდელ პროგრამაში გვიწერია, თუ სხვანაირად? უცხოეთში ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. საჭიროა ადგილობრივ მთელი ჩვენი სოფლის მდგომარეობის დალაგებით შესწავლა, საკითხის ყოველმხრივი განხილვა. ერთი კი ნათელია: საერთოდ მიწა უნდა ჰქონდეს იმას, ვინც მას დაამუშავებს, გაანაყოფიერებს, მოსავალს მოაცემინებს როგორც თავის ისე ქვეყნის, ერის საჭიროებისათვის; და როცა საქმე მიდგება მიწის სარგებლობის ფორმაზე (კერძო საკუთრება, შეზღუდული კერძო საკუთრება თუ საზოგადოებრივი საკუთრება), უნდა ავირჩიოთ ის, რომელიც უკედ შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობას და გლეხის კეთილდღეობის ამაღლებას.

მე მგონია (და ასეთი იყო მუდამ მთელი ჩვენი პარტიის შეხედულობა), ჩვენს ყოველს მოქმედებას ხელმძღვანელობდა ერის ინტერესი, ეროვნული თვალსაზრისი და გლეხობა ხომ ჩვენი ერის უდიდესი ნაწილია. ამ ნაწილის ქონებრივი წარმატება, ფიზიკური გაჯანსაღება, კულტურული განვითარება დიდი ნაციონალური საქმეა, რომელსაც უნდა მივუდგეთ პრაქტიკულად. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი პრაქტიკა და თეორია ამ შემთხვევაშიც ერთიმეორეს შეხვდებიან, ერთმანეთს გაამართლებენ.

ს. ვ.

ვ ა ვ ვ რ ი ო თ.

საქართველოში არის ერთი ჯურის ხალხი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ დაავალა ქართველ პოლიტიკურ პარტიათა «ბოროტ» მუშაობის «მხილება». ამისათვის ეს ხალხი აღჭურვა საკუთარი ორგანოთი და უხვად მისცა ლითონი, რომელსაც სუნი არ უდის. რადგან ამ ხალხს «სამხილოა» არაფერი დაურჩათ, მათ ხელი მიყვეს სიცრუის შეთხზვას, ცილისწამებას და პროვოკაციას. «ახალ გზაში» მოკალათებული რენეგატები და მოღალატეები ბევრად მავნე და საშიშნი არიან ქართველობისათვის, ვიდრე კომუნისტები. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგებიცაა. მონათლული ებრაელი—უფრო სამიში იყო ებრაელებისათვის, ვინემ თვით «ჭეშმარიტი» რუსი. მონათლულმა ებრაელმა არ იცოდა საზღვარი თავისი ქვეშერდომულ ერთგულებაში თვითპყრობლობის წინაშე. ის პირველი სულის ჩამდგმელი იყო ებრაელთა დარბევის. ქართველი რენეგატები და მოღალატეები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლების გადაშენების შემდეგ, ემუქრება გამცემელობისათვის შეძენილ მატერიალურ კეთილდღეობის დაკარგვა და დამფრთხალი სული და გონება ფიზიკურ არსებობის შიშსაც გვრის,—ეს ხალხი დღეს ყველაზე უფრო გააფრთებით ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ დაცემულთა ხროვას «საკუთარ საქმის» კარგი მცოდნე პეტრე გელეიშვილი ლოტბარობს. პეტერბურგის «გრადონაჩალნიკის უწყებების» ყოფილმა თანამშრომელმა, ხარატურიოვის ქუჩურ «ტიფლისკი ლისტოკის» სულის ჩამდგმელმა, რომლის ფურცლებზე შეხმატკბილებულიყო სომხის ბურჟუაზიის და რუსულ ადმინისტრაციის ინტერესების დაცვა,—გელეიშვილმა საქართველოს ოკუპაციის შემდეგ თავისი ბინძური და პროვაკატორული პოლემიკური უნარი ახალ ხელისუფლებას ფიანდაზად გაუშალა. ამ «პოლიტიკურ მოღვაწისათვის», რომელიც ყველა რეჟიმს შეგუებია და მათგან მატერიალური სარგებლობა უნახავს,—ქამელეონის სახელი დიდი პატივისცემაა.

ამ ბატონის ყურადღების ღირსი ჩვენც გავხდით ამ ბოლო დროს. «ახალ გზის» ერთ ერთ უკანასკნელ ნომერში ის შეეცადა, თუმცა ძალზე უნიჭოთ—ჩვენსა და საქართველოს სოციალდემოკრატიას შორის უთანხმოების ჩამოგდებას. ქართველ სოციალდემოკრატიის და სოც.-ფედრ., მისი თქმით ამ ქართველ ნაციონალისტთა,—მიმდინარე მომენტში ერთი ლოზუნგის ქვეშ დგომით ის ცდილობს ვიღაცა საგონებელში ჩააგდოს. ტყუილი საქმეა! წავიდა მყვირალა ფრაზების დრო, ბ-ნო გელეიშვილო! თქვენ და თქვენი ეხლანდელ «ხაზეინების» ფასი კარგათ იცის ხალხმა. თქვენი პროვოკატორობის ნაყოფია, თითქოს ჩვენ სოციალ-დემოკრატიის ეროვნულ საკითხში წარსულ შეცდომებზე ვისაყვედურეთ. ჩვენ კარგად ვაფასებთ სოციალ-დემოკრატების დიდ ამაგს ქართველ ერის წინაშე და ისიც ვიცით, თუ რა ბევრი საქმე გვაქვს ჩვენ და მათ საერთო, განსაკუთრების დღეს...

ჩვენ არასოდეს არ ვმალავთ პატარა ერის ეროვნულ მისწრაფების საჭიროებას, ის არასოდეს არ მიაგავს, თუნდ, იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ აგრესიულ ნაციონალიზმს, რომლის ფასიანი აგენტი თქვენ ბრძანდებით. განა პირდაპირი მოვალეობა არაა ყველა ჯგუფისათვის და პარტიისათვის ეროვნულ ნიადაგზე დგომა, როდესაც მის ერს ფიზიკური განადგურება ემუქრება?! ეს თვით რუსულ კომუნისტურ პარტიამაც იცის, თქვენც იცით მაგრამ თქვენი სიჩუმე ხომ კარგათ ფასდება? დღეს ჩვენ—თუ თვალს ძალად არ დავიბრმავებთ, ასეთ მოვლენების წინაშე ვდგევართ: 19 ივნისს, რუს-რესპუბლიკანელთა კრებაზე. აქ პარიზში რუსულ პროგრესიულ ბურჟუაზიის ხელმძღვანელმა ბ-ნმა მილიუკოვმა განაცხადა, რომ ინგლისი და ევროპა დღეს ემუქრება არა საბჭოთა წესწყობილებას, ბოლშევიზმს, არამედ რუსეთს როგორც ეროვნულ სახელმწიფოსო. საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება, განაგრძობდა მილიუკოვი, მოასწავებს რუსეთში მობინადრე ერების განთავისუფლებას, მათ ჩამოშორებას რუსეთისაგან და ამიტომ მე თოფით ხელში მოსკოველ კომსომოლისტებთან ერთად წავალ მათ წინააღმდეგ, ვინც ემუქრება დღევანდელ რუსეთს. ეს სიტყვები კრებამ ტაშით დაფარა. ვის იცავთ თქვენ, ბ-ნო გელეიშვილო? მილიუკოვს თუ რუს კომუნისტებს? მაგრამ მათ, ხომ ხედავთ, საერთო ენა აქვთ ჩვენს მიმართ!

ნ. უ—ძე.

პროფ. ობსტი

საქართველოს აჯანყების შესახებ.

ქართველი ერის აგვისტოს უკანასკნელი აჯანყება ისეთი ძალის ფაქტია, რომ მისი გვერდის ახვევა შეუძლებელია, როდესაც კითხვა საერთოთ საბჭოთა რუსეთს და კერძოთ მის ნაციონალურ პოლიტიკას ეხება. 24 წ. აგვისტოში, განაგრძო ქართველმა ერმა 21 წელს დაწყებული ეროვნული ომი,—აგვისტოს კიდევ ეშთხელ აღშფოთთა სამი წლის დამოუკიდებელი არსებობით გაფაქიზებული ეროვნული სული, აგვისტოს მოხთა ის, რასაც ყოველთვის, სადაც არ უნდა იყოს, ევროპის კონუნისტურ პარტიებს, მოწინააღმდეგენი პირში აჩრიან და ეროვნულ ჩაგვრაზე, უთანასწორობაზე, იმპერიალიზმზე ყბედობის მადას უკარგავენ. აგვისტოს, კიდევ ერთხელ აწამა რუსეთმა ქართველი ერი. ამ წამებას მთელი ევროპის პრესა გამოეხმაურა, როგორც მემარცხენე ისე მემარჯვენე პრესაც, ამ წამებამ მიიპყრო მთელი ევროპის ყურადღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელმა პროფ. ბ-ნ ობსტმა თავის სამეცნიერო ჯგუფთან ერთად ოთხ თვეზე მეტი იმოგზაურა საბჭოთა რუსეთში მისი გაცნობის მიზნით. სამეცნიერო მოზნით შემოიარა ევროპიული რუსეთი, იყო უკრაინაში, ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში კი იმ დროს, როდესაც აჯანყება ახალი ჩაქრობილი იყო, როდესაც ქართველმა ერმა 1921 წელს წაგებული ომის შემდეგ, სამნახევარი წელი შეისვენა და ისევ მოჰკიდა ხელი იარაღს დიმოუკიდებლობის აღსადგენათ, როდესაც უსწორო ბრძოლაში დამარცხებულმა ერმა იარაღი დროებით გვერდზე გადადო. ბ-ნ ობსტმა დასწერა გეოპოლიტიკურ პერიოდულ გამოცემაში ნაშრომი, სათაურით-«საქართველო». შემდეგ ის მოათავსა ე. წ. «Russische Skizzen»-ში, რომელიც წიგნათ გამოვიდა და მთლიანათ იმ სამოგზაურო წერილებს შეიცავს, რომელნიც თავის დროზე სხვა და სხვა გერმანულ გაზეთებში მოთავსებული იყო.

წიგნი გერმანული მზრუნველობით და ბეჯითობით გამოცემულია, თან მრავალი სურათი ახლავს საქართველოდან, სამოგზაურო შთაბეჭდილებანი, მეცნიერული და ეკონომიური ხასიათის დაკვირვებით. მე აზრათ მაქვს, ნაშრომის მხოლოთ იმ ნაწილს შევეხო, სადაც ბ-ნი ობსტი აჯანყების ხასიათზე ლაპარაკობს:

«ჩვენი იქ ყოფნის დროს»-ო—სწერს ბ-ნი ობსტი—«მეფობდა ტფილისში, განსაკუთრებით ქართულ ნაწილში, ღრმა მწუხარება. ძალიან ბევრი ქალი დაიარება ძაძებ-მოსილი, მათი გამომეტყველება აამკარავებდა მათ მძიმე, მძიმე მწუხარებას. მამაკაცებში თითქოს წესად ქცეულიყო შავი ყელსახვევი, თუმცა ამ გლოვის ნიშანს ყველა სიფრთხილით ატარებდა, თითქოს ეშინოდათ ამით საეჭვონი არ გამხთარიყვენ. თითქმის არც ერთი ქართული ოჯახი არ არის, რომ ერთი წევრი ოჯახის მაინც სამგლოვიაროთ არ ყავდეს. გაუგონარი სიმხეცით ჩააღრჩვეს საქართველოს აჯანყება. ოფიციალური კომუნისტური სტატისტიკა თუმცა იძლევა ცნობას, რომ მხოლოთ რამდენიმე ასი კაცი საველე გასამართლებით დაიხვრიტაო, მაგრამ ვის აინტერესებს ეს რიცხვი? ნამდვილი მსხვერპლი ჟინისმყრელი წითელ ჯარის ათასებს ითვლიან, უგანაჩენოთაც დახვრიტეს, დახვრიტეს ისეთებიც, რომელთაც აჯანყებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ».

«ეჭვს გარეშეა» ამბობს ბ-ნი ობსტი: «ყველა იმის შემდეგ, რაც ჩვენ საქართველოში ვნახეთ და გავიგონეთ, 1924 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის აჯანყება, ნაციონალური მოძრაობა იყო და ის როგორც ასეთი, არა მხოლოთ საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ მოსკოვის რუსეთის წინააღმდეგ. სხვადასხვა მხრიდან ცდილობენ საქმის ნამდვილი ვითარების მიჩქმალვას, მაგრამ ძნელი არ არის ამ ტენდენციური ცნობებისგან თავის დაღწევა. ქართველ სასულიერო წოდებას როგორც ასეთს მაგალითად, არაფერი საერთო არ ქონდა აჯანყებასთან.

«არას გზით არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს 1924 წლის აჯანყება იყო მსგავსი ამბოხებისა უმუშევართა და ქალაქის პროლეტარიატისა. რასაკვირველია შემცთარია ის მითქმა-მოთქმაც, რომელიც მოსკოვიდან გავრცელდა, თითქოს ეს აჯანყება აგრარული რევოლიუციის ხასიათის იყო, თითქოს ეს ქართველ თავადთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო კომუნისტურ მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც მათი მიწა გლეხებს დაურიგა და მიაკუთვნა. რადგან მრავალი რიცხვი თავადებისა წითელ ჯარმა ბასტილიურათ ამოხოცა, თუმცა აჯანყების დროს ისინი უმოქმედოთ თავიანთ სახლში ისხდნენ, შეიძლება ეს მოსკოვის ჭორი ამ ამოხოცვის სინამდვილის გაბიაბრუებისათვის არის შეთხზული.

არავის არ შეუძლია, სერიოზულათ გამოედავოს იმ ფაქტს, რომ ნაციონალურათ აღფრთოვანებულ ინტელიგენციასთან და უწინარეს ყოვლისა საქართველოს აკადემიურ ახალგაზდობასთან ერთად, ურიცხვმა გლეხმა და მუშამ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო. რა აზრი ქონდა მაგალითად ჭიათურის მაღაროს მუშათა მიერ მოსკოვის წინააღმდეგ იარაღის აღმართვას, მათ მიერ საბჭოს მოხელეთა დატყვევებას და სხვა?

ნუ თუ მართლა უნდა ვისმე იმის დამტკიცება, რომ ჭიათურის მაღაროს მუშები ყველა თავადის შვილები არიან, ან და მათ მიერ დაქირავებულნი მოსკოვთან ბრძოლაში ჩაებენ?

მისთვის, ვინაც ობიექტიურათ ადგილობრივ, ამ ამბების მოწმეთა ნაამბობი და აღწერა მოისმინა, მისთვის უდავოა: ქართველმა ინტელიგენციამ 1924 წ. ზაფხულში ქართველ გლეხებთან და მუშებთან ერთად იარაღს მოჰკიდა ხელი, გატაცებულმა სამშობლოსადმი წმიდა და გულწრფელი სიყვარულით. უდრეკელი გადაწყვეტილება იყო, რომ ქართველი ხალხის უძლიერესი სურვილისათვის, ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, მიეღწიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან მალე დამტკიცდა შეცთომა აჯანყებულთა იმედის. სომხები, რომლებიც ტფილისში, ქალაქის ძლიერ მოსახლეობას შეადგენენ, სრულიათ არ ფიქრობდენ აჯანყებაში ჩაბმას და ამ მოძრაობის ცეცხლის დედაქალაქში გაჩაღებას. ოცნებაც, რომ ევროპის ძლიერი სახელმწიფონი ამაში ჩაერეოდენ, არ გამართლდა. იყვენ და დარჩენ თავის ძალის ამარა, გარიყულნი; წითელ არმიას ადვილი საქმე ქონდა.—საშინელებაა სამოქალაქო ომი, მაგრამ, რაც აქ მოხდა, შეუძლებელია კალმისთვის მისი აღწერა.

დიდ ნაწილს ინტელიგენციისას (მაინც და მაინც ინტელიგენციით არაა მდიდარი საქართველო) დღეს მიწა აფარია, იმავე საერთო საფლავში განისვენებენ ქართველი გლეხები და მუშები, რომელთაც მოახლოვებული ეგონათ მოსკოვის ურდოსაგან განთავისუფლების საათი. რასაკვირველია ქართველი ხალხი, დახოცილ შვილებს არ დაივიწყებს; მისთვის ისინი გმირები იყვენ, გმირები სიკვდილამდე ერთგულნი თავიანთი მიზნის»-ო.

შემდეგ ბ-ნი ობსტი მოგვითხრობს საქართველოს წარსულ ისტორიას, ჩვენს გრძელ ომებს დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს და რუსეთის ტრაქტატის, რუსეთის მიერ უსირცხვილოთ ხელშეკრულების დარღვევის ამბავს, მათ უნამუსო ღალატს 1795 წ. სპარსელებთან ომის დროს, რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებას და დაპყრობას მრავალი ომის, წინააღმდეგობის და აჯანყების შემდეგ.

სტატიის ამ თავს ბ-ნი ობსტი ასე აბოლოვებს: «ქართველი ხალხის ფართე მასსაში ნაციონალური მისწრაფება, სურვილი სრული სუვერენობისა შეუდარებლათ ძლიერია ვიდრე პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნილება. ქართველი ხალხის უდრეკელმა ნებამ, დავით აღმაშენებლის და თამარის დროთა აღდგენისამ (კომუნისტებს ალბათ, მონარქიის აღდგენა ეგონებათ! ს. —ძე), აამოქმედა 1924 წ. რევოლიუციონერები»...

ჩვენც ასე დავაბოლოვებთ, 1921 წ. დაწყებული ბრძოლა გრძელდება, აგვისტოს აჯანყება ერთი მომენტთაგანი იყო ამ გრძელი ბრძოლის. ბრძოლა გამარჯვებით უნდა გათავდეს,—იგი გათავდება გამარჯვებით.

ს. —ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგების საყურადღებოდ.

კომუნისტები მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში სარგებლობენ რუსეთ-იაგლისის დამოკიდულების შეწყვეტას და ქმნიან პანიკას და ეწევიან საზიზღარ პროვოკაციას, ვითომც საქართველოს მთავრობა და მასთან მომუშავე პარტიათა წარმომადგენლობა ამზადებდენ აჯანყებას.

ეს ხმები არის სრული სიცრუე და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

რას სწერენ ევროპაში ბოლშევიკებზე.

დღეს რუსეთის ამბებზე განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული მთელს ევროპაში. განახლებული ტეროორი საყოველთაო აღშფოთებას და პროტესტს იწვევს. ბურჟუაზიულ გაზეთებს თითქმის ყოველ დღე იბეჭდება წერილები რუსეთის შესახებ და უმეტესობა დაჟინებით მოითხოვს ყოველგვარ ურთიერთობის დაუყონებლივ შეწყვეტას რუსეთთან. სოციალისტური პარტიები შედარებით თავდაჭერილნი არიან, თუმცა ესენიც სასტიკად ჰგმობენ მოსკოვის დიქტატორების პოლიტიკის და აფრთხილებენ უკანასკნელებს: გონს მოდით, თორემ კატასტროფას უახლოვდებითო.

საფრანგეთის სოციალისტების ცენტრალური ორგანო «პოპულერი» ამ დღეებში (VII-5) სხვათა შორის სწერდა: «საბჭოთა დამხობა აუცილებელია, თუ ისინი განაგრძობენ უკანასკნელი დროის პოლიტიკას... დრო კიდევ არის შებრუნების... ამისათვის ყოვლის უწინარეს ბოლშევიკებმა თავი უნდა გაანებონ ანტისოციალისტურ მუშაობას და დაეხმაროონ პროლეტარიატის საერთო ფრონტის შედგენას, რაც უფრო უზრუნველყოფდა რუსეთის რევოლიუციას, ვიდრე კომუნისტური სისულელენი».

პარტიულ ცხოვრებიდან.

პარიზის სოც.-ფედერალისტთა საერთო კრების დადგენილებით კ. კობახიძე 1926 წ. ნოემბრის 29-დან აღარ ირიცხება პარტიულ ორგანიზაციის წევრად.

Imprimerie « La Gazette de S.-et-O. » — Arpajon